

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №23

ქ. თბილისი

25.05.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:**

**ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნინო ჩანადირი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)

**თეო ურუშაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

**სოფიკო ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

**დიმიტრი ჯაფარიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;

**პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

**გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

**ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ნათელა სახოკია** - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;

**ოლია ვოტ** - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

**მაია გელაშვილი** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

**ანა ლელაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

**ნინო გაგელიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

**ივეტა გოგავა** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :**

**შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი:**

ვახტანგ ლეჟავა

რევაზ ხოფერია

ნათია სამუშია

გიორგი ნარიმანიშვილი  
მარინა ქარჩავა  
ალექსანდრე რაქვიაშვილი  
გოჭი კაციტაძე  
მერაბ ლაღანიძე  
ნინო ბათიაშვილი  
თინათინ ქაროსანიძე  
ნინო ჯღენტი  
ანკა თაბუკაშვილი

**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:**

კახა კორძია  
ლელა წიტიშვილი  
ნინო ჩუბინიძე

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:**

ლილი ხეჩუაშვილი  
გიორგი გვალია  
გოჩა თუთბერიძე  
თეიმურაზ პაპასქირი  
ნინო კორსანტია  
ეკატერინე ბეშქენაძე  
ზურაბ ალხანიშვილი  
ვახტანგ თებიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:30 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 10 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

სხდომის თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მე-4



პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებისათვის დღის წესრიგის პროექტის გაცნობამდე აღნიშნა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის პირველი ნაწილი ეთმობოდა ცენტრის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები აისახა ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, აღნიშნულ ინფორმაციას მიმდინარე წარმოების მასალების ფარგლებში გაეცნენ საბჭოს წევრები. ამდენად, საბჭოს მიერ საკითხის განხილვის დროს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ნაწილში ნებისმიერი სახის ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრს საბჭოს წევრებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით, კერძოდ, ცენტრის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ამ მიზნით საბჭოს სხდომაზე მოწვეულ იქნა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი, ნინო ბეგიაშვილი. ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ცენტრის მხრიდან ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საბჭოს წევრებისათვის წარმოადგენდა დემონსტრირებას იმისა, რომ ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით და გამოთქვამს მზადყოფნას უზრუნველყოს საბჭოს ჯეროვანი ინფორმირება მისი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, ნებისმიერი ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, რაც გააჩენდა შეკითხვებს სააკრედიტაციო წარმოების რომელიმე ეტაპთან დაკავშირებით.

ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრების წინაშე პუნქტობრივად განიხილა დაწესებულების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები ცენტრის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. კერძოდ, მისი განცხადებით, დაწესებულება აღნიშნავდა, რომ „აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების არსებითი ნაწილის - სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებისას დაშვებული არსებით დარღვევას წარმოადგენდა“ ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის დაგვიანებით წარმოდგენა. დაწესებულება მიუთითებდა, რომ აღნიშნული ფაქტის გამო დაწესებულებას მიაღება „მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი“, რადგან დასკვნის პროექტის წარდგენის ვადის დაცვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება 2018 წლის 02 მაისამდე - პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლამდე. იურიდიული სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას ცენტრი არ იზიარებდა, რადგან იგი არ ეფუძნებოდა საქმისწარმოების ვადებთან დაკავშირებით მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი გარემოებების ანალიზი:

- წარმოადგენდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის ცენტრში დაგვიანებით (4 დღით დაგვიანება) წარდგენა აკრედიტაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების არსებით დარღვევას. აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის დებულება აღგენდა სააკრედიტაციო წარმოების ეტაპებს და რიგ შემთხვევაში, მათ ვადებს. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენა გახლდათ სააკრედიტაციო წარმოების ერთ-ერთი ის ეტაპი, რომლისთვისაც აკრედიტაციის დებულებით ვადა არ იყო განსაზღვრული. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარდგენის ვადა

განისაზღვრებოდა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ბრძანებებით. კერძოდ, ყველა ექსპერტი, რომელსაც ცენტრი იყენებდა აკრედიტაციის პროცესში, იმყოფებოდა ცენტრთან შრომით ურთიერთობაში და მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრებოდა ცენტრის დირექტორის ბრძანებით. ერთ-ერთ ასეთ ბრძანებას წარმოადგენდა დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ბრძანება, რომლითაც მოცემულ შემთხვევაში ექსპერტებს ცენტრის დირექტორის მიერ ეკისრებოდათ ვალდებულება, დასკვნის პროექტი წარმოედგინათ ვიზიტის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ხაზგასასმელი იყო, რომ ცენტრის დირექტორს არც ერთი სამართლებრივი აქტი არ ავალდებულებდა ამ ვადის განსაზღვრას, მეტიც მას შეეძლო ვადა განესაზღვრა არა 5, არამედ 3 ან 10 სამუშაო დღით. მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის 4 დღის დაგვიანებით წარმოდგენით ირღვეოდა ცენტრთან ურთიერთობის პირობა. აღნიშნულ გადაცდომაზე „პრეტენზია“ შეიძლება ჰქონოდა ცენტრს ექსპერტთა მიმართ მათ შორის არსებული ურთიერთობის პირობებიდან გამომდინარე, თუმცა ცალსახა იყო, რომ ეს არ წარმოადგენდა სააკრედიტაციო წარმოების არსებით დარღვევას და დაწესებულების მხრიდან მსგავსი აპელირება გახლდათ უსაფუძვლო.

- შეიძლება თუ არა დასკვნის პროექტის წარდგენას მიეყენებინა „მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი“ უნივერსიტეტისათვის იმ დასაბუთებით, რომ დასკვნის პროექტის დადგენილ ვადაში წარდგენის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება 2018 წლის 02 მაისამდე - პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლამდე?

აღსანიშნავი იყო, რომ აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭოს მიერ აკრედიტაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღებოდა აკრედიტაციის საფასურის გადახდიდან 180 კალენდარული დღის განმავლობაში (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი). ამავე აკრედიტაციის დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ყოველი მომდევნო აკრედიტაციისას, საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის უწყვეტობის მიზნით, ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას უნდა გაეთვალისწინებინა ამ დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტითა და 22-ე მუხლით დადგენილი ვადები (საუბარი იყო აკრედიტაციის მაძიებლად ცნობისა და ვიზიტის განხორციელების მიზნით დადგენილ წარმოების ვადებზე). იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციო განაცხადი წარმოდგენილი იქნა 2017 წლის 01 დეკემბერს, ცალსახა იყო ორი ფაქტი:

ა) ცენტრს არ დაურღვევია წარმოების ვადა (დღევანდელი მოცემულობითაც დარჩენილი იყო ვადა 180 დღიანი წარმოებიდან);

ბ) დაწესებულებამ თავად უგულებელყო აკრედიტაციის დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი და დააგვინა რეაკრედიტაციის მიზნით განაცხადის ცენტრში წარმოდგენა. განსახილველ პროგრამისათვის 2018 წლის 02 მაისამდე აკრედიტაციის მისანიჭებლად, განაცხადი ცენტრში წარდგენილი უნდა ყოფილიყო სტანდარტული გათვლით მინიმუმ 2 თვით ადრე, ვიდრე დაწესებულების მიერ იქნა ის წარმოდგენილი.

ცენტრი სააკრედიტაციო წარმოებას ატარებდა დაწესებულების მომართვის შესაბამისად. ამასთან, ცენტრი მაქსიმალურად ცდილობდა დაწესებულებების ხელშეწყობას, რაც, მათ შორის, დროის რესურსის შესაძლო მინიმალური მოცულობით გამოყენებაში გამოიხატებოდა. თუმცა, ცენტრისათვის გაუგებარი იყო დაწესებულების მხრიდან აპელირება ცენტრში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის 4 დღის დაგვიანებით წარმოდგენით მიყენებულ „მნიშვნელოვანმატერიალურ ზიანზე“, მაშინ

როდესაც სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენის დროს თავად დაწესებულების მიერ დაირღვა აკრედიტაციის დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა და სააკრედიტაციო განაცხადის დაგვიანებით წარმოდგენის გამო, პროგრამის აკრედიტებული სტატუსის შეწყვეტის რისკი სრული მოცულობით გადავიდა დაწესებულებაზე.

ამდენად, ცალსახა იყო, რომ დაწესებულების მოთხოვნა გახლდათ დაუსაბუთებელი. დამატებით, წარმოების ვადების საილუსტრაციოდ, შესაძლებელი იყო განხილულიყო შემთხვევა იმ დაშვებით, რომ დასკვნის პროექტი წარმოდგენილი ყოფილიყო ცენტრსა და ექსპერტთა ჯგუფს შორის შეთანხმებულ ვადაში - 2018 წლის 19 აპრილს.

აკრედიტაციის დებულების თანახმად, სააკრედიტაციო წარმოება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის წარმოდგენის შემდგომ ითვალისწინებდა შემდეგ პროცედურას:

ა) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის აკრედიტაციის მამძიებლისთვის გაცნობა;

ბ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამძიებლის არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში წარდგენა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით;

გ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და ცენტრში წარდგენა;

დ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის აკრედიტაციის მამძიებლისთვის გაცნობა; სააკრედიტაციო განაცხადის,

ე) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მამძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საბჭოს წევრებისთვის გაგზავნა;

ვ) აკრედიტაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;

ზ) ცენტრის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება.

ცხადი იყო, რომ სააკრედიტაციო წარმოებისას ვერ მოხდებოდა რომელიმე აღნიშნული ეტაპის იგნორირება. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო სრულყოფილი წარმოების ჩატარება. შესაბამისად, დასკვნის პროექტის წარმოდგენის შემდგომ, აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრული წესით, დაწესებულება დასკვნის პროექტის გაცნობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენდა არგუმენტირებულ პოზიციას. აღნიშნული პოზიცია ეგზავნებოდა ექსპერტთა ჯგუფს, რომელსაც ეძლეოდა დრო დასკვნის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის. ხოლო აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩანიშნვის ნაწილში, აკრედიტაციის დებულება სავალდებულოდ განსაზღვრავდა მინიმუმ 7 კალენდარული დღით ადრე მხარეთა ინფორმირების ვალდებულებას. ზეპირი სხდომის გამართვიდან საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანს ჰქონდათ 10 სამუშაო დღის ვადა საბჭოს სხდომის ოქმისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების ხელმოწერისათვის. ამდენად, ზემოთ განხილული ყველა გარემოების გათვალისწინებით, ცენტრს მიაჩნდა, რომ დაფიქსირებულ მოთხოვნას არ გააჩნდა საფუძველი.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა პოზიცია გააჩნდა ცენტრს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მითითებაზე, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრს, გოჩა თუთბერიძისათვის თვითაცილების საკმარისი საფუძველი შეიძლება ყოფილიყო ის გარემოება, რომ აგრარულუნივერსიტეტში 2013 წელს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დროს ის გახლდათ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. ნინო ბეგიაშვილმა განმარტა, რომ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპი (დაწესებულების მიერ მითითებული „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლი) ცენტრისათვის არსებითად მნიშვნელოვანი გახლდათ. ამასთან, ცენტრისათვის გაუგებარი იყო დაწესებულების წარმოდგენილი პოზიცია, უმთავრესად, შემდეგი გარემოებების გამო:

ა) „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ გათვალისწინებული აცილების/თვითაცილების არც ერთი საფუძველი არ ითვალისწინებდა დაწესებულების მიერ მითითებულ ამ კონკრეტულ გარემოებას;

ბ) ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ეთიკის კოდექსის მითითებული ნორმა (პირველი მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი) განსაზღვრავდა, რომ ექსპერტს უნდა ეცნობებინა ცენტრისათვის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, თუ მას ჰქონდა პირადი ინტერესი ან/და არსებობდა სხვა გარემოება, რომელიც მის მიუკერძოებლობაზე მოახდენდა ზეგავლენას.

შესაბამისად, დაწესებულების მიერ მითითებული საფუძველით - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 2013 წელს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრად ყოფნის გამო, ექსპერტს თავად უნდა გასჩენოდა შინაგანი განცდა, რომ მას ექნებოდა პირადი ინტერესი ან მიკერძოებული დამოკიდებულება თავისუფალი უნივერსიტეტის კონკრეტული პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას. პარალელურად, ეჭვგარეშე იყო, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, მიეთითებინა კონკრეტული პიროვნების შინაგან რწმენაზე და მის განცდაზე, რომ საკითხს ობიექტურად ვერ შეაფასებდა.

გ) „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და აკრედიტაციის დებულების თანახმად, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც აკრედიტაციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაწესებულებას მიაჩნდა, რომ არსებობდა ექსპერტის, საბჭოს წევრის ან ნებისმიერი პროცესში მონაწილე სხვა პირის აცილების საფუძველი, მას უფლება ჰქონდა თავად განეცხადებინა აცილება. აღნიშნული უფლება ჰქონდა შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსაც და შეეძლო ვიზიტის ბრძანების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აეცილებინა ექსპერტი, რომლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საკმარისი საფუძველი გააჩნდა. თუმცა, დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის არც ერთი წევრის, მათ შორის, არც გოჩა თუთბერიძის მიმართ აცილება არ განუცხადებია.

ყოველივე ზემოთ განხილული გარემოების გათვალისწინებით, ცენტრს მიაჩნდა, რომ დაწესებულების მიერ დაფიქსირებულ პოზიციას არ გააჩნდა საფუძველი. აღნიშნული განმარტებების შემდგომ, საბჭოს სხდომა დატოვა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა პოზიცია გააჩნდა ცენტრს არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულების მიერ დაფიქსირებულ გარემოებაზე, რომ აკრედიტაციის ექსპერტების საქციელი იყო არაეთიკური დამათ ფუნქციები არაჯეროვნად შეასრულეს. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა, განაცხადა რომ ეს პოზიცია

არშეესაბამებოდასიმართლეს. მაია გელაშვილის თქმით, არგუმენტირებულპოზიციასიხსენებულმაორმაექსპერტმა, ვიზიტიდატოვამასშემდეგ,რაცძირითადიმიგნებებიგააცნესდაწესებულებისწარმომადგენლებსდავიზიტიოფიციალურადდასრულებულიყო. ძირითადი მიგნებების გაცნობა გახლდათ დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო სესია, რომლის შემდეგაც ვიზიტი დასრულებულად ითვლებოდა დადაწესებულების წარმომადგენლებთან არ ხდებოდა ძირითადი მიგნებების ან სხვა გარემოებების განხილვა. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ დღის წესრიგმა 30-40 წუთით გადაიწია, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ დეტალურად ხდებოდა ყველა საკითხის შესწავლა. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა 8 ადამიანისგან, ბუნებრივია, რომ ინტერვიუების პროცესს მეტი დრო დასჭირდებოდა. ამასთან, ისიც მნიშვნელოვანი იყო, რომ დღის წესრიგი იყო მხოლოდ ფართო ჩარჩო რომელსაც ექსპერტები მიჰყვებოდნენ, თუმცა მათ ჰქონდათ უფლება და ვალდებულებაც კი, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინტერვიუები ჩაეტარებინათ, გამოეთხოვათ დოკუმენტები და ა.შ. შესაბამისად, ის რომ ექსპერტებმა რაიმე დაარღვიეს ან ბოლომდე არ გამოარკვიეს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება ვიზიტის მსვლელობისას, არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისათვის. საბჭოს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან ცენტრის მოსაზრებების მოსმენა ატარებდა მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს. საბჭო აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. ამდენად, საბჭოს წევრების მიერ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა განპირობებული იყო მხოლოდ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოსაზრებებიდან გამომდინარე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა საკითხების რიგითობის შეცვლასთან დაკავშირებით, რადგან შპს თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა წერილობით მიმართა ცენტრს და თხოვა მათი პროგრამის პირველ საკითხად განხილვა.

**შესაბამისად,სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განახლებული დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

|  |  |
|--|--|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                       | სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა   |
| განათლების საფეხური  | დოქტორანტურა   |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | 07 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი<br>PhD in Social Sciences, მათ შორის:<br>- ეკონომიკის დოქტორი - PhD in Economics (0701);<br>- საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი - PhD in International Relations (0705);<br>- სოციოლოგიის დოქტორი - PhD in Sociology (0706);<br>- სოციალური ფსიქოლოგიის დოქტორი - PhD in Social Psychology (070705);<br>10 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი<br>- PhD in Humanities, მათ შორის:<br>- ისტორიის დოქტორი - PhD in History (1004);<br>- ფილოლოგიის დოქტორი - PhD in Philology (1005); |

|                      |   |
|----------------------|---|
|                      | ფილოსოფიის დოქტორი - Phd in Philosophy(1006); |
| სწავლების ენა        | ქართული                                       |
| კრედიტების რაოდენობა | 180   |

სდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მსვლელობისას დაწესებულების პროფესორის, ნიკოლოზ ალექსიძის სკაიპით ჩართვასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

სხდომის თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული გარემოებები, რომლის განხილვაც სცილდებოდა საბჭოს უფლებამოსილებას, განხილული არ იქნებოდა იურიდიული გადაცდომები, ამიტომ მან თხოვნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს ყურადღება გამახვილებული ყოფილიყო მხოლოდ პროგრამაზე და უშუალოდ მის შინაარსობრივ ნაწილზე. საბჭოს მსვლელობების დროს არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე უმჯობესი იქნებოდა სხდომის მიმდინარეობისას განსაზღვრული ყოფილიყო რეგლამენტი თითოეული მხარისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო არა უშუალოდ დროის მომენტი, არამედ ის, რომ დროში ზედმეტად გაწელილი განხილვა გადაწყვეტილების მიღებაში საბჭოს ხელს უშლიდა. მან სთხოვა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, გონივრულ ვადაში წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია და არგუმენტები. საბჭოზე არ იქნებოდა ჯვარედინი კითხვები, კითხვებს დასვამდნენ საბჭოს წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა, ლილი ხეჩუაშვილმა განაცხადა, რომ ის გააკეთებდა ზოგად მიმოიხილვას და საჭიროების შემთხვევაში დაამატებდნენ მისი კოლეგები. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი შედგა 12 აპრილს. რადგანაც პროგრამა იყო მრავალფეროვანი როგორც შინაარსობრივად, ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაციების კუთხით, ექსპერტთა ჯგუფიც დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა მიმართულების პროფესორებისაგან. დასკვნაზე მუშაობა ამ მრავალფეროვნებიდან გამომდინარე იყო რთული, რადგან გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ყველა დარგის სპეციალისტის მოსაზრება, ამიტომ ერთ-ერთი

უკმაყოფილების პასუხად დასკვნის დაგვიანებასთან დაკავშირებით, მიზეზს წარმოადგენდა სწორედ აღნიშნული გარემოება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რომ მას არ გაემახვილებინა ყურადღება აღნიშნულ საკითხზე, ვინაიდან აღნიშნული სცდებოდა საბჭოს ინტერესს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის პრინციპულ პოზიციას წარმოადგენდა რომ განსახილველი პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციას, ოღონდ გარკვეული პირობებით, დასკვნიდად გამომდინარე. პროგრამის მიმართ რეკომენდაციების გაცემა არ პროგრამისათვის დაბრკოლების შექმნის მიზანს, არამედ ის მიმართული იყო პროგრამის დასახვეწად. თითოეული რეკომენდაცია იყო გააზრებული და არგუმენტირებული, თუმცა დაწესებულებას შეეძლო ან დათანხმებოდა მათ ან არა. ჯგუფი ფაქტობრივად არ შეხებია პროგრამის სტრუქტურას. ამ კუთხით არსებობდა ერთადერთი რეკომენდაცია, რომ ერთ-ერთი კურსი - სადოქტორო სემინარი, რომელიც წარმოადგენდა ღერძულ აქტივობას კვალიფიკაციის შესაძენად გადატანილი ყოფილიყო ძირითადი საგნების ჩამონათვალში, თუმცა დაწესებულების უფლება იყო გაითვალისწინებდა თუ არა აღნიშნულს. ძირითადი რეკომენდაციები შენაარსობრივად ეხებოდა იმას, რომ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოსულიყო რეალური პრაქტიკა, ის რაც დაწესებულებაში კეთდებოდა, იმასთან რაც მოცემული იყო დოკუმენტაციაში. თითოეული სილაბუსი, რომელიც განხილულ იქნა შეფასდა სწორედ ამ მიმართულებით, იქნებოდა ეს დოქტორანტის სემინარი I, II, III თუ ეკონომიკისა და ფილოსოფიის კურსები. ექსპერტთა ჯგუფის ერთადერთ თხოვნას წარმოადგენდა ის, რომ რაც დაწესებულებამ აქტივობების შესახებ ვიზიტის დროს გააცნო ჯგუფს სიტყვიერად, ასახულიყო დოკუმენტაციაშიც. პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე, მას შეეძლო ესაუბრა მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულებით, რომელიც წარმოადგენდა პროფესიულ კვალიფიკაციას და სწავლების მესამე ფასეხურზე მისი მინჭება შეუძლებელი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებს ეთანხმებოდა დაწესებულებაც, ითქვა რომ ჩასწორება მოხდა ადგილზევე, თუმცა ექსპერტები ხელმძღვანელობდნენ მკაცრი ინსტრუქციის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის მკაფიო პოზიცია იყო, რომ ისინი არავის ებრძოდნენ და მომხრენი იყვნენ მიელო პროგრამას აკრედიტაცია გარკვეული პერიოდის დათქმით, რომ გამოსწორებულიყო ის შენიშვნები რაც გაცემულ იქნა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ მიმართა ექსპერტებს და განაცხადა რომ, მიუხედავად იმისა რომ საბჭო იცნობდა ექსპერტთა დასკვნას, უმჯობესი იქნებოდა მათ მაინც ესაუბრათ რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვინაიდან რეკომენდაციები წარმოადგენილი იყო სხვადასხვა დარგიდან, ჯგუფის წევრები ისაუბრებდნენ მონაცვლეობით.

რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა პირველ სტანდარტს და არ ვრცელდებოდა დანარჩენ სტანდარტებზე. სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებით, ჩაშლილი იყო კურსები და მათ უმრავლესობას ჰქონდა ერთი და იგივე პრობლემა, კერძოდ ისინი არ შეესაბამებოდა სწავლების მესამე საფეხურს. მაგალითად რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესახებ დეტალურად გაიწერა როგორ უნდა ყოფილიყო დალაგებული კურსი. პრობლემაგახლდათ ის, რომ კურსი იყო საბაკალავრო დონის და ამასთანავე კურსის სათაური და აღწერა, სადაც წარმოდგენილი იყო სტატისტიკური მონაცემების კომპიუტერულად დამუშავების პროგრამების სწავლება, კურსის შინაარსი, სადაც წარმოდგენილი იყო აღწერითი სტატისტიკის ელემენტები და წარმოდგენილი კომპეტენციები ერთმანეთთან არ მოდიოდა შესაბამისობაში. თუკურსის სახელოწოდება იქნებოდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, სწავლება სათაურიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო თემატიკის რელევანტური იქნებოდა

ეს კითხვარი, შვალა და აშ. და არა კომპიუტერული პროგრამებისა. ექსპერტები თვლიდნენ რომ ერთ კურსში ოთხი პროგრამული უზრუნველყოფის ერთად სწავლება იყო შეუძლებელი. დაწესებულების პასუხი ამასთან დაკავშირებით გახლდათ ის, რომ ამ პროგრამებს ცალკე სწავლება არ სჭირდებოდა და მისი სწავლება მოიაზრებოდა თავად სტატისტიკის კურსის სწავლებაში. ექსპერტები თვლიდნენ, რომ ერთისმხრივ რაოდენობრივი მეთოდები არ იყო სტატისტიკის იდენტური და მეორემხრივ ჩამოთვლილი 4 პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება შეუძლებელი იყო, რადგან 1-ის ცოდნაც არ მიიღწეოდა სპეციალური კურსის გარეშე. შემდგომი კურსი, რომელზეც არსებობდა რეკომენდაცია იყო დოქტორანტის სემინარი III, რომლის სწავლის შედეგებიც პრაქტიკულად არ შეესაბამებოდა მესამე საფეხურს. მაგალითად, ცოდნა გაცნობიერებაში მითითებული იყო, რომ კურსდამთავრებულს კურსის დასრულების შემდეგ ეცოდინებოდა ეკონომიკური ტერმინოლოგია, აქ არ იყო დაზუსტებული რა სახის ეკონომიკურ ტერმინოლოგიაზე იყო საუბარი. ანალოგიურითქმა შეიძლებოდა კურსის დასრულების შემდგომ თეორიული მიდგომების ცოდნის შესახებაც, რაც ასევე ზოგად ჩანაწერს წარმოადგენდა, რადგან მიდგომები მუდმივად იცვლებოდა და გაუგებარი იყო მიეწოდებოდა სტუდენტს ყველა მათგანი თუ მხოლოდ ნაწილი. არსებობდა ჩანაწერი, რომ კურსის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს შეეძლებოდა ეკონომიკური ანალიზის გაკეთება, რაც ექსპერტის აზრით არამხოლოდ დოქტორანტის, ბაკალავრის მოვალეობაც კი იყო. კურსზე მითითებული იყო ლიტერატურა - პოლ ჰეინე - რომელიც იყო შესავალი კურსი, დაწერილი იყო არაეკონომისტებისათვის. დანარჩენ ლიტერატურად მითითებული იყო მხოლოდ ავსტრიის ეკონომიკური სკოლა, რომელიც უკვე მოძველებული იყო და მისი მიღწევები დასრულდა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში. კურსი მიჰყავდა კვალიფიციურ ადამიანს, რომელმაც ექსპერტებს კარგად აუხსნა რას აკეთებდა ის რეალურად პრაქტიკაში კურსის მიმდინარეობისას, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა არსებული პრაქტიკა შესაბამისად ყოფილიყო გაწერილიყო კურსში. ამასთანავე, რადგან პროგრამა იყო ეკონომიკის მიმართულებითაც, უმჯობესი იქნებოდა მეტი საგნის მიცემა დარგის მიმართულებით, რაც გაულრმავებდათ დოქტორანტებს ეკონომიკის მიმართულებით ცოდნას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციაზე აკარემიური წერის კურსთან დაკავშირებით, არ იყო დავა არც შინაარსზე და არც კურსის საჭიროებაზე, არამედ საკითხი ეხებოდა იმას, რომ სწავლის შედეგები გადამუშავებულიყო ისე, რომ მოსულიყო კურსის შინაარსთან შესაბამისობაში. გაწერილიყო ის აქტივობები, რასაც რეალობაში ახორციელებდა პედაგოგი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ზემოთ უკვე იქნა ნახსენები დოქტორანტის სემინარი, კურსი იყო ღერძული მნიშვნელობის, თუმცა წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსების ჩამონათვალში და სასურველი იყო გადასულიყო სავალდებულო კურსების ნუსხაში, ისევე როგორც კურსი - სწავლების პრაქტიკა, რადგან დოქტორანტის მომავალი საქმიანობა პრაქტიკულად კვლევასთან ერთად აკადემიურ საქმიანობასაც გულისხმობდა. მისი არჩევითი კურსების ბლოკში დატოვება, პოტენციურად გულისხმობდა იმას, რომ დოქტორანტს კურსი შესაძლოა საერთოდ არ გაევილო, რაც ნიშნავდა იმას რომ ის ვერ მოახერხებდა აკადემიურ საქმიანობას სწავლების მიმართულებით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღსანიშნავი იყო დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაც. თითოეულ დოქტორანტზე იყო მორგებული პრიფესორების აქტივობა. ერთ დოქტორანტს ჰყავდა ერთზე მეტი მეთვალყურე, რაც ამ კუთხით პროგრამას უნიკალურს ხდიდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შემდეგი რეკომენდაცია იყო, რომ გასაუბრების გარკვეული გარემოებები მოსულიყო ერთმანეთთან შესაბამისობაში. სტანდარტი 1.5-ის შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა პროგრამის შემუშავებაში მეტად ჩართულიყვნენ სტუდენტები და პოტენციური დამსაქმებლები. მან აღნიშნა, რომ ყველა სხვა სტანდარტი აბსოლუტურ შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. ექსპერტმა დაამატა, რომ რჩევის სახით, უმჯობესი იქნებოდა დისერტაციის დაცვის კომისიაში წარმოდგენილი ყოფილიყვნენ დარგის სპეციალისტები. მაგალითად საქართველოს ისტორიის მიმართულებით. აღნიშნული არ ჩაიწერა რეკომენდაციაში, რადგან დაცული იყო ერთადერთი დისერტაცია. როდესაც ექსპერტთა მხრიდან ამის შესახებ კითხვა დაისვა სტუდენტებთან, რომლებსაც მომავალში უნდა დაეცვათ დისერტაციები, მიიღეს პასუხი, რომ ორივე რეცენზენტი მოიცავდა სხვადასხვა სფეროს, ერთი იქნებოდა ერთი სფეროს რეცენზენტი ხოლო მეორემეორესი. დამატებით ხაზგასასმელი იყო ორი საკითხი. პირველი, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 9 კვალიფიკაციის მინიჭება, თუმცა პროგრამის კურიკულუმში საუბარი იყო მხოლოდ 7-ზე, ამიტომ შენიშვნა იყო რომ მომხდარიყო 2 დამატებითი კვალიფიკაციის სათანადო ასახვა კურიკულუმში, საუბარი იყო სოციალური მეცნიერებების დოქტორის და ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორის კვალიფიკაციაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეორე საკითხი ეხებოდა სამეცნიერო პუბლიკაციების ნაწილს. დოქტორანტი ვალდებული იყო სამეცნიერო დისერტაციის პარალელურად გამოეყენებინა სტატია სამეცნიერო ჟურნალში, თუმცა განსაზღვრული არ იყო რა ტიპის ჟურნალებზე იყო საუბარი და ამიტომ რჩევა იყო დაწესებულებას განესაზღვრა გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებით რა სახის ჟურნალებში გამოეყენებოდა სტატია. აღნიშნული შეიძლება ყოფილიყო იმპაქტფაქტორი, სკოპუსი ან სხვა... შეიძლება გამოყენებულიყო ჟურნალების ნუსხა, სადაც დოქტორანტის მიერ სტატიის გამოქვეყნება ხელს შეუწყობდა პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ინტერნაციონალიზაციას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს და კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ყურადღება გაემახვილებინათ მხოლოდ პროგრამის შინაარსობრივ ნაწილზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის გააკეთებდა ზოგად შესავალს და მისი კოლეგები კონკრეტულ საკითხებზე უფრო დეტალურად ისაუბრებდნენ. მან თქვა, რომ ავტორიზაციის პირობებში, რომელიც გაიარა დაწესებულებამ, შეფასდა მოცემული სადოქტორო პროგრამა და ჩაითვალა როგორც სამაგალითო პროგრამა. ასევე, ინფორმაციის სახით, მსოფლიო ბანკი ყოველწლიურად აქვეყნებდა ანგარიშს ეკონომიკის თაობაზე, სადაც ანგარიშის თემა იყო დასაქმების შეცვლილი ბუნება, რაც კავშირში იყო განათლებასთან და უმაღლესი განათლების გლობალური ბუნების მიმოხილვა იწყებოდა თავისუფალი უნივერსიტეტის მაგალითით. ანგარიში გამოქვეყნების შემდგომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. სადოქტორო პროგრამა პასუხობდა არამხოლოდ იმ სტანდარტებს რომელსაც აწესებდა კანონმდებლობა, არამედ იმ სტანდარტებსაც, რომელსაც თავად დაწესებულება უწესებდა საკუთარ თავს და ჰქონდა ამბიცია, რომ ეს სტანდარტი იყო უფრო მაღალი, ვიდრე ეს მოთხოვნილი იყო კანონმდებლობით. აკრედიტაციის პერიოდში დაწესებულებამ მიიღო სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა 59 განაცხადი, რომლიდანაც დაკმაყოფილდა მხოლოდ 1/3, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ პროგრამას ჰქონდა დაშვების ძალიან მაღალი კრიტერიუმი. ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში დაცული იყო 1 დისერტაცია, ნიშნავდა რომ დოქტორანტის და სადოქტორო თემის მიმართ არსებობდა მაღალი მოთხოვნები, რაც წარმოადგენდა პროგრამის ღირსებას. არსებობდა გაცხადებული პოზიცია, რომ პროგრამა არ

მიიღებდა 20-ზე მეტ დოქტორანტს. ამჟამად პროგრამას ჰყავდა 14 დოქტორანტი, რომელსაც ემსახურებოდა 27 პროფესორი, რომელთაგანაც 17 ადამიანს გამოცდილება ჰქონდა მსოფლიოს გარშემო უნივერსიტეტებში მუშაობის. მან თქვა, რომ უხეში მაგალითი რომ მოეყვანა, ეს არ იყო ფორდის კონვეირული სისტემა, რომელიც გამოუშვებდა დოქტორანტებს, არამედ რენესანსული სახელოსნო, სადაც ლექტორსა და შეგირდს შორის არსებობდა კომუნიკაცია. პროცესების მრავალფეროვნებას შესაძლოა ექსპერტებისათვის დაეტოვებინა შთაბეჭდილება, რომ ყველა პროცესი არ იყო აღწერილი, თუმცა ამ პროცესების აღწერით და ურთიერთობის ყველა შესაძლო ვარიანტის გაწერით დაიკარგებოდა პროგრამის უნიკალურობა. პროგრამა აგებული იყო პრინციპებზე და არა პროცედურებზე.

წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ საბჭოს წევრებს მკაფიოდ უნდა განესხვავებინათ ექსპერტთა მოსაზრებებიდან რჩევები და რეკომენდაციები, რადგან რეკომენდაციები აუცილებლად შესასრულებელ გარემოებებს წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ რეკომენდაციებს, რომლებიც აკრედიტაციის შემთხვევაში შესასრულებელი ექნებოდა დაწესებულებას, ჩამოაყალიბებდა საბჭო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებიც რჩევებად აღიქმებოდა. ექსპერტებს, როგორც პროფესიონალებს გააჩნდათ საკუთარი ხედვა და მიდგომები, თუმცა საჭირო იყო მხედველობაში მიეღოთ დაწესებულების ხედვა. რაც შეეხებოდა სოციალური ფსიქოლოგიის კვალიფიკაციას, არსებობდა ერთი გარემოება. ექსპერტების ვიზიტი განხორციელებულ იქნა ბრძანების გამოცემიდან მესამე დღეს. ნებისმიერ დაწესებულებას აქვს უფლება ცენტრს დოკუმენტაცია მიაწოდოს 5 დღის განმავლობაში. არსებითი პრობლემა ამ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულებაში არ არსებობდა, რადგან ის რეალურად ფორმალურად უკვე შესრულებული იყო. საკამათო იყო მოსაზრება საგნების საბაკალავრო დონეზე გამწესებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, თუ ბაკალავრს შეეძლო გაეკეთებინა ეკონომიკური ანალიზი, როგორც ამას ექსპერტი აცხადებდა, ეს ნიშნავდა იმას რომ სადოქტორო საფეხურზე ეკონომიკაში თეზისები დაცული არ უნდა ყოფილიყო. აქ მნიშვნელოვანი იყო თავად ანალიზის სიღრმე, რადგან სიტყვა ანალიზი განათლების ყველა საფეხურზე შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული. საბჭოს მიმართ არსებობდა თხოვნა, რომ დაცული ყოფილიყო დაწესებულების ავტონომია და თუ ის თვლიდა რომ საჭირო იყო დოქტორანტებისათვის ესწავლებინათ ეკონომიკურ თეორიებში ავსტრიის ეკონომიკური სკოლა, მათ უნდა ჰქონოდათ საშუალება გაეკეთებინათ ეს, თუკი ამას საჭიროდ თვლიდნენ. დოქტორანტის სემინარის შესახებ ითქვა, რომ თუკი ადამიანი მესამე საფეხურზე აგრძელებდა იმ სფეროს კვლევას რასაც წინა საფეხურებზე, მას სადოქტორო სემინარი არ სჭირდებოდა, თუკი კვლევა დაკავშირებული არ ჰქონდა რაიმე მომიჯნავე დარგთან. მოცემული სემინარი არ იყო დაკავშირებული მატერიალურ სახსრებთან. ყველა დოქტორანტს შეეძლო მისი აღება, რისი პრეცედენტიც არსებობდა, თუმცა შესაძლებელი იყო ყოფილიყო დოქტორანტი, რომელსაც სემინარი არ დასჭირდებოდა და ასეთ შემთხვევაში მისთვის ეს ზედმეტი ტვირთი არ უნდა გამხდარიყო.

წარმომადგენელმა პროგრამის განვითარებაში დოქტორანტების ჩართვის შესახებ განაცხადა, რომ ავტორიზაციის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ ისინი სრულად იყვნენ პროცესში ინტეგრირებულნი, ამიტომ კრიტიკულად უნდა შეეხედათ 1 თვის შემდეგ აკრედიტაციის დასკვნისათვის, რომელიც ამბობდა რომ ჩართულობა ნაკლები იყო. რაც შეეხებოდა დამსაქმებლებს, დაწესებულება ერთიხრივ თავად წარმოადგენდა დამსაქმებელს, ხოლო მეორეხრივ დოქტორანტურის საფეხური და კვლევა თავისთავად შეიძლებოდა

ყოფილიყო მიზანი და შესაძლოა ეს არ ყოფილიყო გამიზნული სამსახურეობრივი დაწინაურებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თემატურ საკითხებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საკითხი, ეკონომიკა, სემინარი III და სწავლების პრაქტიკა.

წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება თუ რა იყო ეკონომიკური თეორია. მან თქვა, რომ სწავლება იყო საფეხუროვანი და ყოველ საფეხურზე - ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე ხდებოდა ცოდნის გაღრმავება. თემები შესაძლოა განხილული ყოფილიყო სხვადასხვაგვარად. მაგალითად, მომხმარებლის არჩევანის შესახებ ბაკალავრი ისწავლიდა 1 ჯვერდს, იგივე სათაურით მაგისტრატურაზე საკითხები გაღრმავდებოდა და აშ. ეს არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ რაიმე სილაბუსი შეფასებულიყო იმისდამიხედვით მეორდებოდა თუ არა დასახელებები. ექსპერტების მიერ ყურადღება გამახვილებულ იქნა პოლ ჰეინეს წიგნზე, მითითებული 20 ლიტერატურიდან. ის თუ როგორ იყო გამოყენებული პოლ ჰეინეს წიგნი, ექსპერტებს მარტივად შეიძლებოდა დაედგინათ დოქტორანტებთან გასაუბრებით. კურსი ეყრდნობოდა არამხოლოდ განსხვავებულ ლიტერატურასა და თეორიებს არამედ, იდეაც სრულიად არ შეესაბამებოდა იმას რაც ისწავლებოდა ბაკალავრიატში.

ექსპერტმა გააკეთა რეპლიკა, რომ ეკონომიკის მიმართულებას სტუდენტი არ ჰყავდა და შესაბამისად გასაუბრება ვერ შედგებოდა. ის აღიარებდა რომ ის, რასაც დაწესებულება აკეთებდა იყო კვალიფიციური და კარგი, თუმცა აქ საუბარი იყო დოკუმენტაციაში პრაქტიკის აღწერაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, განუცხადა ექსპერტს, რომ ჯერ დაესრულებინა საუბარი დაწესებულების მხარეს და ამის შემდგომ ექსპერტებსაც მიეცემოდათ საშუალება პოზიციის დაფიქსირების. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ არ გადასულიყვნენ ექსპერტების შეფასებაზე და ესაუბრათ იმაზე, თუ რა პრაქტიკა არსებობდა პროგრამაზე რეალობაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო კითხვები იმასთან დაკავშირებით რისთვის სჭირდებოდა ეკონომიკა ფილოლოგს ან ფილოსოფოსს. მხოლოდ სისტემა გუგლის საშუალებითაც კი შეიძლებოდა სტატიების და ჟურნალების მოძიება, სადაც ეს სფეროები იკვეთებოდა. ყოველივე ასახული იყო სილაბუსში და სტრუქტურაში. ამასთანავე, როდესაც საუბარი იყო ტერმინოლოგიაზე, განსხვავებულ თეორიებს ბუნებრივად თან ახლდა განსხვავებული ტერმინოლოგიები, მაგალითისათვის რაციონალურ არჩევანს 3 სხვადასხვა დეფინიცია გააჩნდა ეკონომიკურ თეორიაში.

წარმომადგენელმა, რომელიც სხდომაზე, განხილვის პროცესში ჩაერთო სკაიპით, აკადემიურ წერასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ დასკვნიდან გამომდინარე იქნებოდა საუბარი იბადებოდა კითხვა, იყო თუ არა ამ საგნის სწავლება საჭირო სწავლების მესამე საფეხურზე. მან განაცხადა, რომ აღნიშნულის საჭიროება იდგა და ამაზე ბევრს მუშაობდნენ დოქტორანტებთან ერთად, უფრო მეტიც, აკადემიური წერა მნიშვნელოვნების თვალსაზრისით გადიოდა კურსებს შორის პირველ სამეულში. მის გარეშე დისერტაციების დაცვა და სტატიების გამოქვეყნება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მუშაობა ხდებოდა ინდივიდუალურად, პროფესორი ეცნობოდა სტუდენტების საჭიროებებს, რაზე სურდათ თემის დაცვა და ამის შემდეგ ინდივიდუალურად ხდებოდა სამუშაო პროცესის მორგება. ყოველივეს დეტალური გაწერა სილაბუსში შეუძლებელი იქნებოდა, რთული იყო დადგენილიყო ზღვარი სად სრულდებოდა

დეტალების ჩაშლა. სტატიების დამუშავება ხდებოდა ინდივიდუალური სპეციალობებიდან გამომდინარე. ამ მეთოდს შეეძლო განევითარებინა შესაბამისი უნარები დოქტორანტებისათვის, რადგან ისინი სტატიებში ეცნობოდნენ ფორმებსა და სტრუქტურებს, აკადემიური წერა უფრო მეტი იყო ვიდრე მხოლოდ გამართულად წერა.

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ყურადღება გაემახვილებინათ რაოდენობრივი კვლევის მეთოდებზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსთან დაკავშირებით შენიშვნა იყო, რომ სახელწოდება არ შეესაბამებოდა შინაარსს. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები გულისხმობდა პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზს. სახელწოდება ამ შინაარსისათვის არ დაბადებულა თავისუფალ უნივერსიტეტში. ანალოგიური სახელწოდებით იგივე შინაარსის კურსები ისწავლებოდა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში იელში, პრინსტონში, ჰარვარდში და სხვა. შენიშვნაში მოცემული იყო რომ ამ სახელწოდების მქონე კურსს უნდა დაეფარა ისეთი თემები როგორც იყო კითხვარის შედგენა, შერჩევა და აშ. ეს მთლიანად იყო ლექტორის გადასაწყვეტი და მსგავსი ტიპის შინაარსი შესაძლოა მოცემული ყოფილიყო კვლევის დიზაინის სახელწოდების მქონე კურსის ქვეშაც. მეორადი მონაცემების ანალიზი ასევე წარმოადგენდა რაოდენობრივ კვლევას და არსებობდა კვლევები, რომლებიც მოიცავდა მხოლოდ სტატისტიკური ბაზების ანალიზის შედეგად ჩატარებულ კვლევებს, ამიტომ გაუგებარი იყო რატომ ეჩვენებოდათ მოცემულობა უცნაურად ექსპერტებს. რაც შეეხებოდა სოფტებს, მან თქვა, რომ ოთხივე პროგრამის სწავლება ერთ კურსში მართლაც შეუძლებელი იყო, თუმცა პრაქტიკაში ეს არც ხდებოდა. გათვალისწინებული იყო ყველა დოქტორანტის საჭიროება და პრიორიტეტი ინდივიდუალურად. ზოგიერთ სტუდენტს შესაძლოა თავი კომფორტულად ეგრძნო SPSS-თან ზოგს კი STATA-სთან, ხდებოდა მოთხოვნის გათვალისწინება და სწავლების სტუდენტზე მორგება.

წარმომადგენელმა, რეკომენდაციაზე ინდივიდუალური სემინარის სავალდებულო კურსად განსაზღვრასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კურსის არჩევითობა პროგრამაში პრობლემას არ ქმნიდა, რადგან წინა აკრედიტაციის დროს კურსი საერთოდ არ არსებობდა. სავალდებულო კურსებში და სემინარებში გათვალისწინებული იყო კურსები, რომლებიც სტუდენტს მისცემდა აუცილებელ ინსტრუმენტს დარგების მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. გარდა ამისა, წლების განმავლობაში პრაქტიკამ აჩვენა რომ აღნიშნული სემინარის არსებობა სავალდებულო კურსებში ყოველთვის საჭირო არ იყო. ამასთანავე, საუბარი იყო იმაზეც, რომ თუ სტუდენტს ცოდნის დანაკლისი ჰქონდა შეეგოს ინდივიდუალური სემინარით, რაც ასევე არ იყო სწორი, რადგან ყველაზე დიდ ნაწილს განათლებისას დოქტორანტი იძენდა იმ 135 კრედიტიდან, რომელიც კვლევის ნაწილი იყო. კურსები არ წარმოადგენდა პროგრამის ფუნდამენტს, არამედ დამხმარეს, ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენდა კვლევითი კომპონენტი, სადაც სტუდენტი მუშაობდა არამხოლოდ ხელმძღვანელთან ერთად, არამედ კომისიის სხვა წევრებთან ერთად, რომლებთანაც ისეთივე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ხელმძღვანელთან. რეკომენდაციაზე სწავლების პრაქტიკის სავალდებულო კურსად გახდომაზე აღინიშნა, რომ დაწესებულება ამ აზრს არ იზიარებდა და ამაზე ვიზიტის დროსაც მოხდა საუბარი. შესაძლებელი იყო ყოფილიყო სტუდენტი, რომლის მიზანიც არ იქნებოდა პედაგოგიური საქმიანობის გაგრძელება, რისი შემთხვევებიც არსებობდა. ადამიანი შესაძლოა ყოფილიყო კარგი მეცნიერი, თუმცა არ ჰქონოდა სხვა უნარები, ამიტომ დაწესებულება თვლიდა, რომ ამ კუთხით არჩევანი დოქტორანტისათვის უნდა დაეტოვებინა. მარეგულირებელ დოკუმენტში ეწერა, რომ დოქტორანტს მოეთხოვებოდა სტატიის

გამოქვეყნება საერთაშორისორეფერირებად ჟურნალში ან მისი მიმართულების კომისიის მიერ რეკომენდირებულ ჟურნალში. დაწესებულებისათვის გაუგებარი იყო რატომ ან ამაზე მეტად როგორ უნდა დაკონკრეტებულიყო ჩანაწერი.

ექსპერტმა განაცხადა, პრაქტიკა აჩვენებდა რომ საერთაშორისო რეფერირებადობა არ იყო წონიანი კრიტერიუმი, რადგან არსებობდა ჟურნალები, რომლებიც გადიოდა ამ რანგში, თუმცა იქ გამოქვეყნებული სტატიები ვერ უძლებდა კრიტიკას.

წარმომადგენელმა იკითხა, ეხებოდა თუ არა აღნიშნული იმპაქტფაქტორსაც.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფს მითითებული იმპაქტფაქტორი დოკუმენტაციაში არ უნახავს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს მოცემული იყო დებულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არც იმპაქტფაქტორის ციფრი არ იყო ხარისხის მაჩვენებელი. სამეცნიერო ღირებულება ბოლომდე ამით არ დგინდებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კანონი არ ავალდებულებდა დაწესებულებას რომ ჟურნალები მითითებული ყოფილიყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს იყო რჩევა და არა ვალდებულება, იმისათვის რომ ცნობადობა გაზრდილიყო პროგრამის პროდუქტისა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მითითება იყო დებულების მე-15 მუხლის 8-ე მუხლში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი სურვილი იყო პროგრამის გლობალურად დანახვა. სახეზე იყო ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამა ბევრი სხვადასხვა მიმართულებით. საუბარი შეიძლებოდა იმის შესახებ კონკრეტული დისციპლინა როგორ გაიყვანდა შედეგზე დარგში და იმაზე, კონკრეტული სილაბუსი რა წონის მატარებელი იყო. მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მაგალითისათვის, დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში ისე შეიძლებოდა მიეღო დოქტორანტს, რომ მას არ აერჩია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. მან იკითხა, მისაღები იყო თუ არა ეს პროგრამის ხელმძღვანელისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამის მთავარი პროდუქტი იყო დისერტაცია, თეზისი, რომელიც იქნებოდა დისერტაბელური მეთოდოლოგიურად და კონცეპტუალურად. ეკონომიკის შემთხვევაში არსებობდა სცენარის ორი შესაძლებლობა, ერთი, რომ სტუდენტი მივიდოდა უკვე არსებული მყარი ცოდნით რაოდენობრივ მეთოდებში და მეორე, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ ეცოდინებოდა მეთოდოლოგია და არ აირჩევდა საგანს ის უბრალოდ ვერ შეძლებდა ნაშრომის დაცვას.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ეს ნიშნავდა, რომ დისერტანტი მივიდოდა კვლევითი კომპონენტის პირველ ეტაპამდე ისე, რომ მას ექნებოდა უფლება საერთოდ არ გაეარა რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, დაეწყო ფიქრი თემაზე და ჰქონოდა უფლება რომ არ აერჩია აღნიშნული საგანი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ვერ მიაღწევდა საფეხურს ეკონომიკის დოქტორობამდე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტებისგანაცხადებითაც, სტუდენტებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული საით წავიდოდნენ კვლევის მიმართულებით. შესაძლებელი იყო პირველი სემესტრის განმავლობაში ისე ესწავლა დოქტორანტს რომ მას არ სცოდნოდა რა მიმართულებას აირჩევდა. მივიდოდა იმ ეტაპამდე რომ ის მიხვდებოდა რომ მას გავლილი არ ჰქონდა საჭირო საგანი, თუმცა დისერტაციის დაცვა სურდა და ამიტომ უნდა მომხდარიყო მორგება. თუ დაწესებულება დაავალდებულებდა სტუდენტს პირველი სემესტრის ბოლოს გაეკეთებინა განაცხადი რა მიმართულებით წავიდოდა, მაგალითად

ეკონომიკაში, მისთვის რაოდენობრივი კვლევის მეთოდების სწავლა სავალდებულო უნდა გამხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული სტრუქტურა სტუდენტს საშუალებას აძლევდა მხოლოდ თვისებრივი კვლევის მეთოდებით დაეცვა დისერტაცია ეკონომიკაში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრის კომენტარში პრინციპული დაშვება, რომ ყველა კვლევა ეკონომიკაში იყო რაოდენობრივი, უბრალოდ არ იყო მართებული. მხოლოდ რაოდენობრივ მოდელზე მორგება იყო ვიწრო ხედვა იმისა თუ რას გულისხმობდა ეკონომიკური თეორია.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, ეს არ იყო მხოლოდ გემოვნების საკითხი. სტუდენტისათვის საჭირო იყო, მას სცოდნოდა ყველა ძირითადი მეთოდოლოგია, სრული პაკეტი, რათა პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით, თუნდაც პროგრამის დასრულების შემდგომ მას არ გასჩენოდა პრობლემა. დაწესებულება არ იზღუდებოდა მიმართულების განსაზღვრაში, ამ კუთხით სრული თავისუფლება არსებობდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო, რამდენად შეესაბამებოდა დაწესებულების მიერ არჩეული მიმართულება სადოქტორო დონეს. სადოქტორო სემინარში, მთავარ ლიტერატურაში, ისევ ეკონომიკის კუთხით, მითითებული იყო შესავალი ამ მიმართულების თეორიაში. სილაბუსი მუშაობდა არა სამეცნიერო სტატიებით, არამედ სახელმძღვანელოთი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში სტატიები მითითებული იყო მეათე გვერდზე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მას სილაბუსი გახსნილი ჰქონდა და სტატიები მითითებული იყო დამატებით ლიტერატურაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იქ სადაც მითითებული იყო თემები, გვერდით ეწერა ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა, რომ სწორედ იმას გულისხმობდა, რომ ძირითადი ლიტერატურა იყო სახელმძღვანელო და არა სამეცნიერო სტატიები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატიები ლიტერატურაში შესული იყო. მან ასევე დაამატა, რომ ეკონომიკურ თეორიაში არსებობდა მრავალფეროვნება და არ შეიძლებოდა მისი ვიწრო ხედვა, რადგან მინიმუმ ეს იქნებოდა დოქტორანტის შეზღუდვა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული სილაბუსი ეფუძნებოდა სახელმძღვანელოს თავებს, რაც სადოქტორო დონეზე მისაღები არ იყო. წარმოდგენილი იყო ორი სილაბუსი, დოკუმენტაციის სახით ჩაბარებული ერთი ადრე, ხოლო მეორე მოგვიანებით, რომლებიც ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან შინაარსობრივად, რაც ნათელს ხდიდა რომ ეს კონკრეტული სილაბუსი არ იყო სადოქტორო დონის.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს იყო ტექნიკური ხარვეზი. გარდა ამისა, კითხვაზე, შესაძლებელი იყო თუ არა სადოქტოროს დაცვა ეკონომიკაში რაოდენობრივი კვლევის გარეშე, პასუხი იყო ცალსახად დადებითი და ამის არგუმენტებად საერთაშორისო სივრცეში არსებული ძალიან ხარისხიანი ნაშრომებიც კმაროდა. იმ შემთხვევაში თუ დოქტორანტს არ ექნებოდა გავლილი რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, იმის გარანტორი რომ თუ მას ეს სადოქტოროსთვის დასჭირდებოდა, ის ამ საგანს გაივლიდა იყო ხელმძღვანელი, რომელიც მიუთითებდა, რომ აერჩია საგანი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული, რომ ხელმძღვანელს შეეძლო დაევალებულიებინა დოქტორანტი რომ გაეარა კურსი პროგრამაში წერილობით არ ფიქსირდებოდა. გარდა ამისა, მან დასძინა რომ მისიანიჭებელი კვალიფიკაცია არ ნიშნავდა და მეტი იყო ვიდრე სადისერტაციოდ დაცული თემა. დოქტორანტი გამოდიოდა დარგის

მკვლევარი და არა მხოლოდ სადისერტაციო თემატიკის მცოდნე. შესაბამისად, დოსერტაციის დასაწერად დოქტორანტს რომც არ დასჭირვებოდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება, მათი ცოდნა მაინც საჭირო იყო თუკი ეკონომიკის კვალიფიკაცია მიენიჭებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში შეუძლებელი იყო იმის გაწერა თუ როგორ მიდიოდა კონკრეტული ლექცია თუ სემინარი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მას ეს არც უგულისმია, ის საუბრობდა იმაზე, რომ სილაბუსში სადოქტორო საფეხურზე წიგნის თავები მითითებული არ უნდა იყოს. მან იკითხა, რაოდენობრივი კვლევის მეთოდებში რამდენად შეიძლებოდა ესწავლებინათ წრფივი და არაწრფივი რეგრესია 3 საათში, რაც სილაბუსის მიხედვით იყო გამოყოფილი, იმ დოქტორანტისათვის, რომელიც იქნებოდა მაგალითისათვის ფილოლოგი სამაგისტრო საფეხურიდან. იქნებოდა თუ არა ეს მისთვის საკმარისი დისერტაციის დასაწერად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სალექციო საათებით და ხდებოდა დამატებითი კონსულტაციები პროფესორებთან.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ კურსის გარეთ მიმდინარე პროცესს საბჭო ვერ შეაფასებდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე ამოსავალი უნდა ყოფილიყო კვლევა და არა სასწავლო კურსები. კვლევას ეთმობოდა 135 კრედიტი, საიდანაც დოქტორანტი რეალურად ცოდნასაც იღებდა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ხედვებთან დაკავშირებით არსებობდა განსხვავება და ამ შემთხვევაში დისკუსიას აზრი არ ჰქონდა. შეფასება ხდებოდა იმის და მიხედვით შეესაბამებოდა თუ არა წარმოდგენილი პროგრამა იმ წესებს და კონცეფციებს რაც არსებობდა და საუბარი მიდიოდა იმაზე, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისობა არ იყო.

წარმომადგენელი დაინტერესდა, თუ რას გულისხმობდა საბჭოს წევრი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განმარტა, რომ დაწესებულება ამბობდა რომ სასწავლო კომპონენტს ავსებდა კვლევის კომპონენტი. სტუდენტი ცოდნას იღებდა სასწავლო კომპონენტიდან, რაც უზრუნველყოფილი იყო სასწავლო კურსების მიწოდებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლონიის დოკუმენტი ამას არ ამბობდა. მან თავად შეისწავლა მალმოს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა და მათ არცერთი საგანი სასწავლო კომპონენტში მოცემული არ ჰქონდათ. ლექციის ჩატარების შემდეგ, რაც თავისთავად გულისხმობდა ცოდნის მიცემას, ადამიანი მუშაობას აგრძელებდა სახლში. პროგრამის მთავარი ფოკუსი იყო ინდივიდუალური კონსულტაცია.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, როცა კვლევის ნაწილში მოცემული იყო 135 კრედიტი და დაყოფილი იყო ნაწილებად. როდესაც დისერტაციის ნაწილი კრედიტებად იყო დაშლილი, როგორ ხდებოდა მისი შეფასება, როგორ გავიდოდა ის დისერტაციის დაცვაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტს 2-ჯერ უწევდა სხვადასხვა ეტაპზე პრეზენტაციის და დაცვის გაკეთება.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, როგორ ხდებოდა ამ პრეზენტაციების შეფასება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზენტაციას ესწრებოდა კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას პრეზენტაციის და დაცვის შესახებ იღებდა ხმის მიცემით. არ ხდებოდა ქულების დაწერა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ თუ დისერტაცია იყოფოდა კრედიტებად, მაშინ საჭირო იყო მათი შეფასებაც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ხდებოდა იმისათვის რომ სტუდენტს სცოდნოდა კვლევის რა ნაწილი რა მოცულობას მოიცავდა საერთო კრედიტში. ეს იყო სადისერტაციო ნაშრომის მთლიანი პროცესი რომელიც საბოლოოდ ერთიანად ფასდებოდა. ეტაპობრივად სტუდენტები აკეთებდნენ პრეზენტაციებს, პირველი პრეზენტაცია კეთდებოდა კვლევის დასაწყისშივე, სადაც სტუდენტი წარმომადგენდა ხედვას თემის განვითარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ როდესაც ის დასკვნას გაეცნო მისთვის სიახლე იყო ის, რომ ექსპერტები ამბობდნენ რომ პროგრამაზე დოკუმენტაცია იყო არასათანადო, თუმცა პრაქტიკაში პროგრამა იყო კარგი. დაწესებულების რექტორის მიერ ახსნილი მიდგომა მისთვის სრულიად გასაგები იყო. პროგრამა არ იყო სტანდარტული, წესებზე და პროცედურებზე მორგებული და როგორც რექტორმა თქვა რენესანსული სტილის სახელოსნოს ჰგავდა, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი თუ მიქელანჯელო მოისურვებდა მისი პროგრამა გაეტანა აკრედიტაციაზე, მას მოუწევდა დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა, პრაქტიკის აღწერა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს უთხრა, რომ როცა აკრედიტაციის სურვილი იყო, მას თან უნდა მოჰყოლოდა სათანადო დოკუმენტაცია, რადგან საბჭო ვერ შეაფასებდა პროცესს გარე აქტივობებს, ეს უნდა გაწერილიყო დოკუმენტურად, რათა ასახული და გასაგები ყოფილიყო სრული სურათი.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ მას სურდა გაეგო რისი თქმა სურდა დაწესებულებას სილაბუსებში - სწავლება უმაღლეს სასწავლებელში და სწავლების პრაქტიკა. ამ უკანასკნელის სილაბუსი იყო ცარიელი. გასაგები იყო ლექტორის ინდივიდუალურობა, თუმცა ასევე აუცილებელი იყო დოკუმენტის არსებობაც. სილაბუსი კეთდებოდა დოქტორანტისათვის, ამ სილაბუსით მას გაუჭირდებოდა გაეგო რას მიიღებდა კურსიდან. კურსში- სწავლების პრაქტიკა საჭირო იყო გაწერილიყო ასისტორების კონცეფცია.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა განსხვავებული ტიპის ასისტორება, ზოგ შემთხვევაში ეს შესაძლოა ყოფილიყო ლექციის წაკითხვა და სხვა. სტუდენტსა და ხელმძღვანელს ვალდებულება ჰქონდათ შეეცნოთ მინიმუმ 3 გვერდიანი ფორმა კურსთან დაკავშირებით, რომელიც ივსებოდა დეტალურად.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ საჭირო იყო თუნდაც აღნიშნული ფორმის დართვა სილაბუსისათვის რათა გარემოებას ნათელი მოჰფენოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირობები და შედეგები სილაბუსში ეწერა და ამასთანავე იყო მითითება, რომ ასისტორების ფორმა გადაწყდებოდა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, იქნებოდა ეს სემინარზე თუ სხვა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ აქტივობებთან დაკავშირებით პროგრამას უნდა ჰქონოდა ერთიანი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა შეფასება.

სახდომის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან დანახული იყო პრობლემა ინტერდისციპლინარულობასთან დაკავშირებით, რაზეც სახდომაზე ყურადღება გამახვილებული განსაკუთრებულად არ ყოფილა. მაგალითისათვის, აგრარულ უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამა ქიმიკა-ფიზიკა-ბიოლოგიაში, სადაც სტუდენტი ქიმიის განათლებით, მოდულს იძენდა ფიზიკაშიც. მას აინტერესებდა, იგივე იგულისხმებოდა თუ არა ინტერდისციპლინარულობაში მოცემული პროგრამის შემთხვევაში. თუ ეს იგულისხმებოდა, მაშინ პროცედურა გარკვეულწილად უნდა გაწერილიყო. მაგალითად

მოდიოდა ფილოლოგი და ხდებოდა ეკონომიკის დოქტორი, როგორ მოხდებოდა პროცესის რეგულირება. რაში გამოიხატებოდა პროგრამის ინტერდისციპლინარულობა. მან აღნიშნულთან დაკავშირებით აზრის გამოთქვა სთხოვა ექსპერტებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ამათსან დაკავშირებით ითქვა 2 ზოგადი ვარიანტი. გაწერილი არ იყო როგორ მიენიჭებოდა დოქტორანს ზოგადი კვალიფიკაციები სოციალური მეცნიერებების და ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორის მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ პასუხი, რომ ეს იყო დამოკიდებული კვლევის ხასიათზე. თუ კვლევა იყო ინტერდისციპლინარული, მაშინ მიენიჭებოდა ნახსენები ზოგადი კვალიფიკაცია და არა შიგნით ჩაშლილი რომელიმე. იმას, თუ რა სახის იყო კვლევა, წყვეტდა საბჭო. მოცემულობა იყო რომ ზოგმა დოქტორანტმა იცოდა რომელი კვალიფიკაციისათვის ჰქონდათ მუშაობა დაწყებული, ზოგმა კი არა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დახმარება აღნიშნულის განმარტებასთან დაკავშირებით სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უკვე დღეს არსებული კანონმდებლობის მიხედვით სადოქტორო პროგრამა, რომელიც გავიდოდა ერთზე მეტ კვალიფიკაციაზე ვეღარ იქნებოდა წარმოდგენილი ცენტრში აკრედიტაციის მიზნით. არსებული პროგრამის შესახებ განაცხადის შეტანის დროს კი აღნიშნული ჩანაწერი დებულებაში არ იყო ძალაში.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა, განაცხადა, რომ მას შეეძლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციიდან წაეკითხა კარგად გაწერილი მოცემულობა, თუ რას გულისხმობდა ინტერდისციპლინარულობა. მან წაიკითხა ამონარიდი: "ინტერდისციპლინარული კვლევა გულისხმობს კვლევის ისეთ მეთოდს, რომელშიც ხდება ორი ან მეტი დისციპლინის მონაცემების, ტექნიკების, მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების, კონცეპტების ანდა თეორიების ინტეგრირება". მან განაცხადა, რომ არსებულ სიტუაციაში არ ჩანდა პროგრამაში როგორ ხდებოდა ნახსენები ტექნიკების ინტეგრირება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა ახსენა, რომ სტუდენტს ემსახურებოდა 2-3 პროფესორი, რაც ასევე შეიძლებოდა გასულიყო ინტერდისციპლინარულობაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დებულებაში გაწერილი იყო, რომ პროგრამის ღერძული ნაწილი იყო დოქტორანტის კომისიასთან ურთიერთობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა არა იმას, რომ პროგრამის ინტერდისციპლინარულობა პრობლემა იყო, არამედ იმას რომ ინტერდისციპლინარულობის სახე პროგრამის აღწერაში კარგად არ ჩანდა. უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში გაკეთებულიყო ის ჩანაწერი, რაც საბჭოზე საბჭოს წევრის, პაატა ბრეკაშვილის მიერ იქნა წაკითხული. ასევე შეიძლებოდა 2-3 ხელმძღვანელთან ერთად მუშაობა დოქტორანტისა, განხილულიყო როგორც ინტერდისციპლინარულობის მკაფიო გამოვლინება. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ იყო პოზიციონირება, რომ პროგრამა იყო ინტერდისციპლინარული, თუმცა არ იკითხებოდა რა იგულისხმებოდა ამაში.

სხდომის თავმჯდომარემ, ჰკითხა ექსპერტებს, მათი ხედვით, იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გაითვალისწინებდა ყველა შენიშვნას, რა დრო დასჭირდებოდა ხარვეზების აღმოფხვრას. მათი რჩევა საჭირო იყო, რადგან რეალურად სიტუაცია იყო არაორდინალური.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეალობაში პროცესი ბევრად უფრო შთამბეჭდავი იყო ვიდრე ეს დოკუმენტურად დასტურდებოდა. რთული სათქმელი იყო, თუმცა ყოველივეს გათვალისწინებით ეს სავარაუდოდ იქნებოდა 2-3 თვე. პროცესი დაწესებულებაში

ნორმალურად მიმდინარეობდა. დოქტორანტები იყვნენ კარგად მომზადებულები, და ერთადერთი სურვილი იყო მათ არ შექმნოდათ პრობლემები.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ავსტრიული სკოლის სწავლება, როცა თეორიები მუდმივად ახლდებოდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რა თქმა უნდა მოსაზრებას ჰქონდა არსებობის უფლება. ვილანისათვის შესაძლოა მისაღები ყოფილიყო ავსტრიის სკოლა, რომელიც მათემატიკას არ აღიარებდა და ფილოსოფიურ ხაზს მიჰყვებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად მისი პირადი სიყვარულისა ჰაიკისადმი, მათემატიკა არ ფარავდა მხოლოდ ჰაიკეს და პროპორციულად იყო შესული სხვა ლიტერატურაც.

**18:37 საათზე სხდომას შემოურთდა საბჭოს წევრი, გიორგი თურქია.**

19:15 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომაგანახლდა 20:22 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე -7

წინააღმდეგი -2

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27<sup>6</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა 2018 წლის 2 მაისიდან.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 6 თვიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 6 თვის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იმ ვადების გათვალისწინებით, რომ ისევ და ისევ განხილვა ჩანიშნულიყო საბჭოს მოცემული შემადგენლობის პირობებში. მან გამოთქვა იმედი, რომ ყველა მითითება რომელიც ჩაბარდებოდა დაწესებულებას, შესწორებული იქნებოდა. საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და მოუწოდა მეტი ყურადღება დაეთმოთ დოკუმენტაციისათვის.

### საბჭოს რეკომენდაციები:

1. პროგრამის „მისანიჭებელი კვალიფიკაციის“ ქვეთავში და თვითშეფასების კითხვარის შესაბამის გრაფაში მითითებული იქნას მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი კოდები.
2. პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია „დოქტორი სოციალურ ფსიქოლოგიაში“ მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან (მუხლი 4.4).
3. დოკუმენტურად იქნეს დაფიქსირებული და სათანადოდ აღწერილი წარმოდგენილი სასწავლო პროგრამის ინტერდისციპლინური ბუნება. აღნიშნული სათანადოდ იქნეს აღწერილი წარმოდგენილი პროგრამის, როგორც, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, ასევე კვლევით ნაწილში. სასწავლო კომპონენტებში ყველა მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად გაიწეროს ინტერდისციპლინარული მიდგომა წარმოდგენილი სემინარებისა და მეთოდოლოგიური კურსების შესაბამისად. ამასთან, მოხდეს ფორმულირება ინტერდისციპლინური კვლევის ფორმებისა და მათი განხორციელების მექანიზმების შესახებ.
4. თითოეული მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის (ისტორიის გარდა) სწავლის შედეგები გაიწეროს თითოეული დარგის სპეციფიკის უფრო მეტი გათვალისწინებით.
5. პროგრამაში გაიწეროს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხების შესაბამისი სწავლის შედეგები. სწავლის შედეგები ასევე უნდა ჩაიშალოს ამ ორი მიმართულების იმ ყველა ქვე კვალიფიკაციაზე რაზეც გადის სტუდენტი.
6. გადაიხედოს ყველა სასწავლო სილაბუსი და მოვიდეს მესამე დონის კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში. პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციათა ჩარჩოში მოცემულ კომპეტენციებთან მიკუთვნებულობა იყოს ლოგიკური. სემინარებში ძირითადი

ლიტერატურა განისაზღვროს სამეცნიერო ნაშრომებით. მეთოდოლოგიურ საგნებში მოხდეს სასწავლო მასალის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა.

8. რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიის სილაბუსი განახლდეს და მოვიდეს მესამე დონესთან შესაბამისობაში. გაიმიჯნოს კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკური პროგრამის სწავლების მოცულობა. ლოგიკურად დალაგდეს თემატიკისა და საკონტაქტო საათების შესაბამისობა. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები გახდეს სავალდებულო საგანი.

9. სასწავლო კურსის „დოქტორანტის სემინარი III“ კურსის სწავლის მიზანი და სწავლის შედეგები მთლიანად მოვიდეს შესაბამისობაში საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-3 საფეხურის მოთხოვნებთან (ცოდნა-გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი;). ძირითადი ლიტერატურის ნუსხიდან სახელმძღვანელო პოლ ჰეინე „ეკონომიკური აზროვნება“ გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში.

10. სასწავლო კურსის „სწავლების პრაქტიკა“ სილაბუსში გაიწეროს სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები და გაკეთდეს გარკვეული უნიფიცირებული ჩანაწერები შინაარსთან დაკავშირებით.

11. მიმდებმა კომისიამ შეაფასოს აპლიკანტის კვალიფიციურობა (ცოდნა და მზაობა) და შესაბამისად განსაზღვროს აპლიკანტის შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის კონკრეტული მიმართულების კვალიფიკაცი(ებ)ის მიმართ. დეტალურად გაიწეროს კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები.



2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

|  |   |
|--|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება                       | სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა                |
| განათლების საფეხური  | ერთსაფეხურიანი  |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | დიპლომირებულისტომატოლოგი<br>Doctor of Dental Medicine (DDM)<br>090201 |
| სწავლების ენა  | ინგლისური   |
| კრედიტების რაოდენობა                                       | 300   |

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო ორი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა აზრით მარტივი შესასრულებელი იყო. ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა კონკრეტულ სილაბუსს, სადაც სილაბუსის განმახორციელებელი იყო ისეთი პირი, რომელსაც დარგში არ ჰქონდა გამოცდილება და ლიცენზია, რეკომენდაცია იყო რომ შეცვლილიყო აღნიშნული კურსის განმახორციელებელი. მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა სტომატოლოგიური კლინიკის სტერილიზაციის საკითხს, კერძოდ საუბარი იყო სასტერილიზაციო ოთახის გამართვაზე. ყველა სხვა კრიტერიუმი პროგრამის მიერ კმაყოფილდებოდა. რაც შეეხებოდა რჩევებს, რომლებიც დასკვნაში იქნა წარმოდგენილი, მათი მიღება დამოკიდებული იყო დაწესებულების კეთილ ნებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის მიერ აღნიშნული კურსის სილაბუსს ახორციელებდა შესაბამისი ლიცენზიის მქონე ადამიანი. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ პროგრამის დოკუმენტაციაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოსწორდა და წარმოდგენილ იქნა იმ ადამიანის საბუთები, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებდა

კურსს. შესაბამისად, ხარვეზი უკვე ჩასწორებული იყო. სილაბუსს ჰყავდა 2 თანაავტორი, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირი. განმახორციელებელ პირს ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია, თუმცა სილაბუსში შეცდომის გამო მიწერილი იყო მხოლოდ პირველი გვარი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ორივე პირი იღებდა თუ არა რეალურად სილაბუსის დაწერაში მონაწილეობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსის დაწერაში ყველა თანაბრად იყო ჩართული.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ როგორც მან გაიგო, კლინიკა თავად დაწესებულებას არ ეკუთვნოდა. უბრალოდ მათი სტუდენტები კლინიკაში გადიოდნენ პრაქტიკას.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტუდენტები კლინიკაში გადიოდნენ პრაქტიკას, რომელიც იჯარით იყო გადაცემული შპს დიოდენტისთვის.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას კლინიკაზე ზემოქმედების საშუალება.

წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ ზემოქმედების საშუალება მათ ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ის მადლობელი იყო ექსპერტების, რომ ამ დარღვევაზე მიაჩნდნენ. დაწესებულება იმდენად ენდობოდა კლინიკას, რადგან მას ჰქონდა ჯანდაცვის სამინისტროსაგან ლიცენზია, რომ არ ჰქონდა გამახვილებული ყურადღება კმაყოფილდებოდა თუ არა ლიცენზიის პირობები. რჩევის მიღების შემდეგ, მათ მიწერეს დიოდენტის ხელმძღვანელობას, რომ სასწავლო პროცესის დასრულებამდე დარჩენილი იყო 2 კვირა, თუმცა ისინი სტუდენტებს მათთან აღარ გაუშვებდნენ და გადაანაწილებდნენ სამ სხვა კლინიკაში. მოთხოვნა წაყენებულ იქნა, რომ სექტემბრამდე წესრიგში მოყვანილიყო ის გარემოება რაც დაფიქსირდა ლიცენზიის პირობის დარღვევასთან დაკავშირებით. მათ 3 დღის განმავლობაში შესაბამისი ოთახი მოაწყვეს და მიწერეს წერილი ჯანდაცვის სამინისტროს და სთხოვეს კომისიის გამწესება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ჰქონდა თუ არა ლიცენზია კლინიკას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიცენზია ჰქონდა, თუმცა 2017 წელს პირობები შეიცვალა და ექსპერტებმა დააფიქსირეს რომ ახალი პირობების ფარგლებში გარკვეული გარემოებები არ კმაყოფილდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეგულაციით იკვეთებოდა ბიონარჩენების საკითხიც, რისი გადამოწმებაც კლინიკაში ასევე საჭირო იქნებოდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ელოდებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნას. ამასთანავე, დაწესებულების მიერ წარდგენილ იქნა დოკუმენტაცია ორგანიზაციის შესახებ, რომელიც სპეციალურად იყო პასუხისმგებელი ბიონარჩენების გატანაზე. მომავალი სასწავლო წლისათვის სივრცე შესაბამისად იქნებოდა მოწყობილი.

სხდომის თავმჯდომარემ დასვა კითხვა, კერძოდ რადგან დარგი პრაქტიკაზე იყო ორიენტირებული, მნიშვნელოვანი იყო ბაზა, სადაც სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, კითხვა იყო რამდენი სტუდენტის მიღება შეეძლო ბაზას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ხელშეკრულება ჰქონდათ 4 სტომატოლოგიურ კლინიკასთან მათ შორის: დენსთან, რომელსაც ჰქონდა ქსელი თბილისსა და რუსთავეში, შესაბამისად მათი გამტარიანობა იყო საკმაოდ დიდი. ასევე აისოსთან და თავად დაწესებულებას შენობაში წარმოდგენილი ჰქონდა 2 კლინიკა. იქიდან გამომდინარე რომ

პროგრამაზე განსაკუთრებით ბევრი სტუდენტი არ სწავლობდა ბაზა სრულიად საკმარისი იყო, რასაც ადასტურებდნენ ექსპერტებიც.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა რამდენი სტუდენტი სწავლობდა პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი რაოდენობა იყო 133.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ იკითხა, რადგან პროგრამა ინგლისურენოვანი იყო, რა ენაზე ხორციელდებოდა პრაქტიკა და როგორ მოახერხა დაწესებულებამ ეპოვნა კლინიკები დასკვნის მიღების შემდგომ, რომლებიც გადანაწილებულ სტუდენტებს მიიღებდნენ და ინგლისურად ჩაუტარებდნენ პრაქტიკას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ახალი კლინიკების მოძიება არც დასჭირვებიათ რადგან კონტრაქტორ კლინიკებში გადაანაწილეს სტუდენტები. რაც შეეხებოდა ინგლისურ ენას, ბაზებზე მუშაობდნენ დაწესებულების ლექტორები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ პროცესს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ხომ არ წარმოშობდა პრაქტიკის წარმართვის ხარისხის კუთხით პრობლემას სტუდენტების დამატება კლინიკებში.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი ბაზის გამტარუნარიანობა საკმარისი იყო სტუდენტებისათვის. გარდა ამისა 133 სტუდენტს პრაქტიკა არ უტარდებოდა, უტარდებოდა 70-ს.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, თუ ყავდა დაწესებულებას ქართველი სტუდენტები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართველი სტუდენტები ჰყავდათ, თუმცა არა ამ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა მოქმედებდა თუ არა დაწესებულებაში ადაპტირებული ახალი სტანდარტი - "ოსკი".

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული მითითებული იყო რჩევის სახით, თუმცა დაწესებულებისთვის ვალდებულების დაწესება ამ კუთხით ვერ მოხდებოდა. ზოგადად, საჭირო იყო დროთა განმავლობაში ყველა პროგრამა, რომელიც უნარ-ჩვევების ათვისებაზე იყო ორიენტირებული გადასულიყო მოცემულ სტანდარტზე.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა საჭირო სტანდარტზე გადასასვლელად მატერიალურ - ტექნიკურ ბაზაში ცვლილებები, პერსონალის გადამზადება და სხვა.

ექსპერტმა სხდომის თავმჯდომარეს აღნიშნული დაუდასტურა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა ინგლისურენოვანი მედიცინის პროგრამა, რომელიც განხორციელდებოდა "ოსკის" პრინციპით და ამისათვის ბაზა უკვე არსებობდა დოკუმენტურად ავტორიზაციის პროცესისათვის, რადგან ბაზა უკვე არსებობდა რჩევა მიღებულ იქნა და სტანდარტი სტომატოლოგიის პროგრამაზე დაინერგებოდა.

20: 50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი- 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3<sup>1</sup> პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა 2018 წლის 2 მაისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 21:20 საათზე სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ელიზბარ ელიზბარაშვილი

მდივანი  
ნინო ჩანადირი